განკარგულება:**g-27. 2723334001**
თარიღი:**30/11/2023**

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 53

30 ნოემბერი 2023 წ.

ქ. თელავი

თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა თელავის მუნიციპალიტეტის მერს, ა(ა)იპ „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგს“ (ს/კ 402157330) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, **2 (ორი)** წლის ვადით სარგებლობაში გადასცეს თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ რუისპირში მდებარე შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი: 53.11.44.122) I სართულზე არსებული 84.5 კვ.მ. ამბულატორიისთვის განკუთვნილი ფართი;

2. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე;

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის №41).

მამუკა ბურდიაშვილი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი